

შპს ნიუ მეტალ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	6
ბოლო გვერდი	12

შპს „ნიუ მეტალ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-19	01-იან-19
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები		13,841	433804
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		5,965	268832
გადახდილი ავანსები		68,924	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		115,657	1029212
სულ მიმდინარე აქტივები		204387	1731848
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		853152	905172
სულ გრძელვადიანი აქტივები		853152	905172
სულ აქტივები		1,057,539	2637020
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2390131	1087357
საგადასახადო ვალდებულებები		-	66158
მიღებული ავანსები		943329	2662043
მიმდინარე სასესხო ვალდებულება		999266	2973978
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4332726	6789536
სულ ვალდებულებები		4332726	6789536
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		(3275187)	(4152516)
სულ საკუთარი კაპიტალი		(3275187)	(4152516)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,057,539	2637020

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

შპს „ნიუ მეტალ ჯორჯია“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2019
ამონაგები		4006363
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(2383618)
საერთო მოგება		1622745
ადმინისტრაციული ხარჯი		(443869)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(76188)
სხვა შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯები		(225359)
მოგება დაბეგვრამდე		877329
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა ზარალი/მოგება		877329

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „ნიუ მეტალ ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2018	-	(4152516)	(4152516)
პერიოდის მოგება	-	877329	877329
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	-	(3275187)	(3275187)

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ნიუ მეტალ ჯორჯია“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 404380629), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2010 წლის 19 მარტიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი N2/კეკელიძის ქუჩა N2, ბინა 54.

კომპანიის მესაკუთრეები არიან - 50% ბექა ქორიძე, 45% თორნიკე როხვაძე, 5% გიორგი ლომაური.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავ კომპანიის დირექტორი - დავით მჭავანაძე.

შპს „ნიუ მეტალ ჯორჯიას“-ის საქმიანობას წარმოადგენს მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
1 USD/GEL	2.8677	2. 6766
1 EUR/GEL	3.2095	3. 0701

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2019 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა დანადგარი	20-25%
სატრანსპორტო საშუალებები	14-20%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	20-25%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება/გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	12149	15161
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1691	418644
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	-
სულ ფულადი სახსრები	13841	433804

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	5,965	268832
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,965	268832

5. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გადახდილი ავანსები	68,924	-
სულ გადახდილი ავანსები	68,924	-

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მომსახურების გასაწევად განკუთვნილი მარაგები	115657	1029212
სხვა მარაგები	-	-
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	115,657	1029212

7. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარი სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	984855	84330	1069185
შეძენა	-	37226	37226
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2018	140976	20186	161161
ცვეთა	68885	23213	92098
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	774995	78156	853152

8. სესხები

მიმდინარე სასესხო ვალდებულება	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე სესხის ძირი თანხა	943329	2202098
მიმდინარე სესხის პროცენტი	994710	771879
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულება	1938039	2973977

9. ამონაგები

ამონაგები	2019
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	3999009
ამონაგები	3999009

10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2019
მასალების ღირებულება	2383618
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2383618

11. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2019
ხელფასის ხარჯი	131750
ცვეთის ხარჯი	92098
სხვა ხარჯი	218513
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	442361

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 სექტემბერს.

შპს „ნიუ მეტალ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-19	01-იან-19
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები		13,841	433804
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		5,965	268832
გადახდილი ავანსები		68,924	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		115,657	1029212
სულ მიმდინარე აქტივები		204387	1731848
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		853152	905172
სულ გრძელვადიანი აქტივები		853152	905172
სულ აქტივები		1,057,539	2637020
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2390131	1087357
საგადასახადო ვალდებულებები		-	66158
მიღებული ავანსები		943329	2662043
მიმდინარე სასესხო ვალდებულება		999266	2973978
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4332726	6789536
სულ ვალდებულებები		4332726	6789536
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		(3275187)	(4152516)
სულ საკუთარი კაპიტალი		(3275187)	(4152516)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,057,539	2637020

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი




შპს „ნიუ მეტალ ჯორჯია“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2019
ამონაგები		4006363
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(2383618)
საერთო მოგება		1622745
ადმინისტრაციული ხარჯი		(443869)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(76188)
სხვა შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯები		(225359)
მოგება დაბეგრამდე		877329
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა ზარალი/მოგება		877329

ხელმომწერი პირი:

დირექტორი



შპს „ნიუ მეტალ ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2018	-	(4152516)	(4152516)
პერიოდის მოგება	-	877329	877329
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	-	(3275187)	(3275187)

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

